ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1930086

ნომერი: AR1312857

თარიღი : 27.05.2015

გაცემის თარიღი : 03.06.2015

გაცნობის თარიღი : 06.06.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , ფრედერიკ მონპერის ქუჩა , N 4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დათა კვარაცხელია პ/ნ 58001009651
- სენაკი ლ.ქიაჩელის ქ. N 47 ბ. 17

ორგანიზაცია:

- შპს გეომეფი კოდი: 215149177

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1312857 27.05.2015 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ #478 2009.06.16 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელებას გაცნობებთ შემდეგს:

წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე საწყობის ასაშენებლად სამსახურის მიერ გაიცა #478 2009.06.16 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, #01/922 2009.07.16 ბრძანებით შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი და #4266 2010.08.24 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართა (ნებართვის გაგრძელების ბრძანება #4266 2010.08.24.) გთხოვთ დააზუსტოთ და წარმოადგინოთ სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე არ არის ნაწარმოები მშენებლობა თავდაპირველად უნდა მოითხოვოთ აღნიშნული დოკუმენტაციის გაუქმება. რისთვისაც განაცხადი უნდა ატვირთოთ ვებ გვერდზე TAS.GE ელექტრონული განცხადებები –> სამართლებრივი საკითხები –> ადმინისტრაციულ –>სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება; რის შემდეგაც უნდა შეცვალოთ ნომენკლატურა და საკითხს დააყენოთ ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენაზე.

შეთანხმებული დოკუმენტაციის გაუქმებაზე მოთხოვნა უნდა დააყენოს ადმინისტრაციული აქტის მფლობელმა ან მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ ან წარმოდგენილი იქნეს მისი/მათი ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა (ასევე შესაძლებელია აღნიშნული პიროვნებების მონაცემების დაფიქსირება

დამატებით გაცნობებთ, რომ დღევანდელი მდგომარეობით საპროექტო მიწის ნაკვეთი დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი- რუკის მიხედვით მდებარეობს საცხოვრებელი ზონა 5–სა (სზ–5) და სატრანსპორტო ზონა 1–ში (ტზ–1). საცხოვრებელ ზონა 5 (სზ-5) წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელი ზონას, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 29 მარტის #4-13 გადაწყვეტილების დანართი 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობების არსებობა (იხ. დანართი).

კოეფიციენტები:

მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) – 0.5;

მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2)– 2.1

მიწის ნაკვეთების გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) – 0,1.

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) – წარმოადგენს ზონას, რომელიც მდებარეობს ადმინისტრაციულ საზღვრებში და მოიცავს არსებულ და საპროექტო (პერპექტიულ) ქუჩებს, გზებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს გზაგამტარებს, დროებით ავტოსადგომებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს (ჩამონათვალის ფარგლებში – ტროტუარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, დროებით ჯიხურებს, მიწისქვეშა შენობა-ნაგებობებს). (25.11.2011 N 12-55).

სოფელ დიღომში სამსახურის მიერ შეთანხმებული „ჩარჩო გეგმის" შესაბამისად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება შესაძლებელია დანართზე დატანილი განაშენიანების რეგულირების ხაზების დაცვით (იხ. დანართი);

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.